

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბეტკო“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	7
4. ძირითადი საშუალებები	12
5. სხვა არამატერიალური აქტივი	12
6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	13
9. სხვა მიმდინარე აქტივი	13
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	14
12. ამონაგები	14
13. თვითღირებულება	14
14. სხვა შემოსავლები	14
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14
16. პირობითი გარემოებები	15
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	1.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	303 725	1 498 783	984 280
სხვა არამატერიალური აქტივი	5	73 604	73 604	73 604
		377 329	1 572 387	1 057 884
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	97 990	269 490	128 052
სავაჭრო მოთხოვნები	7	3 807 907	3 522 845	2 744 779
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	69 703	301 036	247 346
გადახდილი ავანსები		25 760	1 232	1 232
საგადასახადო აქტივი		104 560	131 099	4 909
სხვა მიმდინარე აქტივი	9	944	111 064	80 156
		4 106 864	4 336 766	3 206 474
მთლიანი აქტივები		4 484 193	5 909 153	4 264 358
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		189 345	189 345	189 345
გაუნაწილებელი მოგება		114 510	496 552	(189 050)
		303 855	685 897	295
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2 028 194	3 025 189	2 006 304
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	26 222	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		283	4 976	13 678
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	2 151 861	2 166 869	2 244 081
		4 180 338	5 223 256	4 264 063
მთლიანი ვალდებულებები		4 180 338	5 223 256	4 264 063
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4 484 193	5 909 153	4 264 358

ვახტანგ მარჯანიძე
დირექტორი



სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	12	2 678 596	8 682 355
თვითღირებულება	13	(1 468 493)	(349 124)
საერთო მოგება		1 210 103	8 333 231
სხვა შემოსავლები	14	9 637	-
მიწოდების დანახარჯები			-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(52 740)	(6 908 586)
საოპერაციო მოგება		1 167 000	1 424 645
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		(1 285 892)	(1 298 727)
მოგება დაბეგვრამდე		(118 892)	125 918
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(118 892)	125 918

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვარი	189 345	(189 050)	295
წმინდა მოგება	-	125 918	125 918
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
სხვა ცვლილება	-	559 684	559 684
2019 წლის 31 დეკემბერი	189 345	496 552	685 897
წმინდა მოგება	-	(118 892)	(118 892)
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
სხვა ცვლილება	-	(263 150)	(263 150)
2020 წლის 31 დეკემბერი	189 345	114 510	303 855

ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 958 577	7 859 623
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2 843 004)	(7 474 160)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(65 097)	(40 330)
გადახდილი გადასახადები	(168 236)	(131 595)
გადახდილი სხვადასხვა ხარჯი	(395)	(2 638)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(118 155)	210 900
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხი	(53 345)	(69 462)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(69 462)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა-კლება	(171 500)	141 438
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	269 490	128 052
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	97 990	269 490

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ბეტკო“-სათვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ბეტკო“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია ქ. თბილისში. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 13/06/2012 წელს, ს/კ - 400051858.

საწარმოს 100% წლის მფლობელი პარტნიორია ვახტანგ მარჯანიძე.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ვლ. ალექსი მესხიშვილის 1შენ 9.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა ჯგუფებში ჩაურთველი, ბეტონის წარმოება.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად. საწარმომ მოამზადა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2020 წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სადარიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;
 სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;
 გაცემული სესხები - ფინანსური აქტივი;
 სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება;
 მიღებული სესხები - ფინანსური ვალდებულება;

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულებულია, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში მოთხოვნა წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. შემდგომი აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვეთება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონელის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი

ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- მანქანა-დანადგარები - 10 წ
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წ
- შენობები-20 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება აღიარდება მოგება ან ზარალში.

3.9 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განახორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის თანხა, რომელიც შემოტანილი იქნა კომპანიის მფლობელის მიერ.

3.10 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.10.1 მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ასევე შესაძლებელია მომსახურებაზე ულვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.11 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის სახით მფლობელზე განაწილებული მოგება, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლების ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3.12 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.13 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

3.14 იჯარა

ოპერაციული იჯარა როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.15 შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

საფარო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.16 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ანგანახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2020 წლის საბალანსო ღირებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიწის ნაკვეთი	17 606
შენობა-ნაგებობა	100 694
მანქანა დანადგარები	58 781
ავეჯი და სხვა ინვენტარი	42 844
სატრანსპორტო საშუალებები	83 800
სულ:	303 725

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. სხვა არამატერიალური აქტივები

სხვა არამატერიალური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგნაირად:

ლიცენზიები:	72 360
საბუღალტრო პროგრამა ორისი:	1 244
სულ:	73 604

6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

საწარმოს სალაროს და საბანკო ანგარიშების ნაშთები შემდეგია:

	2020	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	79 571	88 731	97 205
ფული საბანკო ანგარიშებზე	18 419	180 759	30 848

სულ	97 990	269 490	128 052
------------	---------------	----------------	----------------

7. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 335 576
მოთხოვნა შეკავშირე საწარმოს მიმართ	1 383 158
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის წინაშე	89 173
სულ	3 807 907

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია მზა პოდექცია 771 ლარის ოდენობით და ნედლეული და მასალები 68 932 ლარის ოდენობით

9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ბენზინი:	255
დეზელი:	261
ბუნებრივი აირი:	428
სულ:	944

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	1 794 298
მიღებული ავანსები	75 231
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	35 658
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	123 007
სულ	2 028 194

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2020 წლის საანგარიშგებო წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხი თიბისი #2357465	9 966
სესხი თიბისი #2357465	49 066
სესხი თიბისი #2357465	300 000
სესხი თიბისი #2357465	97 873
სესხი თიბისი #2357465	120 000
სესხი თიბისი #2357465	55 806
სესხი თიბისი #2357465	25 705
სესხი თიბისი #2357465	162 558
სესხი თიბისი #2357465	1 330 887
აწარმოე საქართველოში	
სულ:	2 151 861

12. ამონაგები

საწარმოს 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში ამონაგებში აღიარებული აქვს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალი 21 091 ლარი და სამშენებლო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი 2 657 505 ლარი.

13. თვითღირებულება

საწარმო თვითღირებულებით საქონლის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით. თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის ღირებულებას - 1 468 493 ლარს.

14. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	9 637
სულ	9 637

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
შრომის ანაზღაურება	(16 113)
სოციალური დანარიცხები	(316)

სხვა საერთო ხარჯი	(36 311)
სულ	(52 740)

16. პირობითი გარემოებები

პოლიტიკური გარემო და რეგულაცია

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სამართლებრივ, და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნისის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზეგავლენას ახდენს ხელისუფლების მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები

კომპანიას სამართლებრივი დავები არ გააჩნია

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენებია ისეთი მოვლენები რომლებიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე.

ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსური ანგარიშგებაზე.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 20 სექტემბერის.